საქართველო
თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერია
GEORGIA
TETRITSKARO MUNICIPALITY CITY HALL

წერილის ნომერი: **124-1242311740**
თარიღი: **27/04/2023**

ადრესატი: მირანდა თეთრაძე
პირადი ნომერი: 01017047251
მისამართი: თბილისი, თეიმურაზ ბოჭორიშვილის 20

მოქალაქე: მირანდა თეთრაძე

მისამართი: თბილისი, თეიმურაზ ბოჭორიშვილის 20

პირადი ნომერი:01017047251

ელ.ფოსტა: foi+request-1557-70fe1680@askgov.ge

ქალბატონო მირანდა,

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერიაში მიმდინარე წლის 11 აპრილს შემოსული თქვენი N19/1242310159-01 განცხადებით მოთხოვნილ ინფორმაციასთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-10 პუნქტის თანახმად, „სამსახურებრივი გადაცდომის ან/და დაწესებულების მიზნებთან შეუსაბამო ქმედების არსებობის შემოწმებისა და აღმოჩენის მიზნით სამსახურებრივი შემოწმების ღონისძიებებს ახორციელებს დაწესებულების შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფი/ერთეული. მისი უფლებამოსილება, საქმიანობის წესი, მიზნები და ამოცანები განისაზღვრება შესაბამისი დაწესებულების დებულებით და გამიჯნულია შიდა აუდიტის ფუნქციისაგან“. კანონის ამ მუხლის შესაბამისად 2018 წელს განხორციელდა თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის შიდა აუდიტის სამსახურის დებულების ცვლილება და დღეის მდგომარეობით აღნიშნული განცხადებით მოთხოვნილი ინფორმაციის ნაწილი არ განეკუთვნება თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის შიდა აუდიტის სამსახურებრივ კომპეტენციას, ამავე კანონის მე-19 მუხლის მე- 3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, შიდა აუდიტორი დაწესებულების ხელმძღვანელის თანხმობის გარეშე ვერ გაასაჯაროებს შიდა აუდიტორული შემოწმების მასალებს. ამასთან საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 42 - მუხლის მიხედვით განსაზღვრული ინფორმაციის ჩამონათვალში არ შედის შიდა აუდიტორული

შემოწმების ანგარიშები, ამ მუხლით გათვალისწინებული სახელმწიფო აუდიტის შემოწმების მასალები კი (აუდიტორული დასკვნები) გასაჯაროებულია. მათ შორისაა თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის შემოწმების აუდიტორული დასკვნები, რომლებიც განთავსებულია სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ვებგვერდზე.

პატივისცემით,

ჯემალ წურწუმია

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერია-საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი/უფლებამოსილი პირი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

საქართველო, თეთრიწყარო 2300, თამარ მეფის ქ. N34, ტელ: (995 359) 22 23 38
34 TAMAR MEPHE STR. TETRITSKARO 2300, GEORGIA. TEL: (995 359) 22 23 38
E-MAIL: MERIA@TETRITSKARO.GOV.GE WEB:WWW.TETRITSKARO.GOV.GE